ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **28 ოქტომბერი, 2020 წელი**

13:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 14 წევრი: გიორგი ივანიაძე, სალომე ფახურიძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაიძე, მარინა ღვინიანიძე, ნათია ძოძუაშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, ნიკოლოზ დვალიშვილი, მამუკა ნამიჭეიშვილი, მიხეილ სვანაძე, გვანცა სიგუა, თამთა დვალიშვილი, ნანა ლილუაშვილი, აპოლონ რამიშვილი, თამარ შენგელია.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაიძე, ივანე მამფორია, ტარიელ ბარამიძე, გონერი მეფარიშვილი, ნატო დვალიშვილი.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე- გიორგი ივანიაძე. სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

დღის წესრიგი

1. ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია (სამუშაო ვერსია) განხილვა;

2. IV კვარატალში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია (სამუშაო ვერსია). როგორც მომხსენებელმა განმარტა სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ძალადობის პრევენცია და გრძელვადიანი პერსპექტივით პრევენციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რამაც უნდა უზუნველყოს ძალადობის ფაქტების შემცირება, სახელმწიფოსა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ძალადობის პრევენციის მიზანი, თავის მხრივ, შედეგობრივად უზრუნველყოფს დემოკრატიულ ტოლერანტულ საზოგადოებაში ინდივიდის ჰარმონიულ განვითარებას და ძლიერი, პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოების სტრატეგია ძალადობის ეფექტიანი პრევენციის მიზნის მისაღწევად, ასევე გამოკვეთს კავშირებს, დამოკიდებულების პრობლემას და ძალადობის წარმოშობის რისკებს შორის. ამასთან, დამოკიდებულების პრობლემა თავად ხდება სამოქალაქო აქტივობის შემცირების მიზეზი. ძალადობრივი გარემო კი, საბოლოოდ, ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგია ძალადობის პრევენციის მიზნის მისაღწევად ეფუძნება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებას.

ძალადობა დესტრუქციულ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზე. ადამიანის პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ძალადობისგან თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს პიროვნების უნარს, ხელი შეუწყოს საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ წინსვლას.

ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იგი გავრცელებული და კომპლექსური პრობლემაა, შესაძლებელია მისი თავიდან აცილება, შემცირება და მასზე ადეკვატური რეაგირება. ამასთან, არსებობს ძალადობასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა. ძალადობრივი ქმედებები არსებითად წარმოადგენს სამართლებრივი და მორალური ვალდებულებების დარღვევას. სახელმწიფოს მხრიდან კი ძალადობაზე ძალადობრივი რეაგირება არ ნერგავს საზოგადოებაში ნდობას და მშვიდობიანი თანაცხოვრების სხვა წინაპირობებს. აღნიშნული ვერ იძლევა გრძელვადიან შედეგს და გათვლილია პრობლემის მყისიერ, მოჩვენებით მოგვარებაზე.

ძალადობის გამომწვევი მიზეზები ურთიერთგადაჯაჭვულია. სოციალური და კულტურული ფაქტორები, უთანასწორო გენდერული როლები, უმუშევრობა,– ძალადობის გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენს. ძალადობის რისკებს ზრდის, ასევე, ცივი იარაღი, ალკოჰოლი და ნარკოტიკული ნივთიერებები. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ პიროვნების მიერ გაკეთებულ არჩევანს შეუძლია შეამციროს ან პირიქით, გაზარდოს ძალადობის საფრთხე: თუ პირი ვერ აკონტროლებს უარყოფით ემოციებს, ან/და ხდება, მაგალითად, ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული, იზრდება პიროვნების რისკი – გახდეს მოძალადე ან ძალადობის მსხვერპლი.

ძალადობის პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენისა და ძალადობის პრევენციის გრძელვადიანი მექანიზმების დანერგვისას, სტრატეგია ემყარება ე.წ. გამააქტიურებელი სახელმწიფოს იდეას. აღნიშნული გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემები, ამ შემთხვევაში ძალადობის პრობლემა შეიძლება მოგვარდეს სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოების გააქტიურებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანამონაწილეობის პირობებში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. სტრატეგია საკუთარი მიზნების უზრუნველყოფის პროცესში ესწრაფვის როგორც პიროვნების

სოციალური იზოლაციის თავიდან აცილებას, ისე საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი სოციალურ კონტროლსა და ინდივიდის პირად ავტონომიას შორის. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია მჭიდრო კოორდინაცია როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე. დასახული მიზნების მისაღწევად მხოლოდ ხელისუფლების ცალმხრივი აქტივობა საკმარისი არ არის ისეთ სფეროში, სადაც ადამიანთა და ხელისუფლების ნება თანაბრად გადამწყვეტია. სტრატეგია პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად აფუძნებს თანამშრომლობის ერთიან მექანიზმს. ამ პროცესში პარტნიორებს წარმოადგენენ ოჯახი, მასწავლებელი, მოსწავლე, პოლიცია, სოციალური მუშაკი და კომპეტენტური საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აღნიშნული მიმართულებით საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის როლი.

ქვეყანაში არსებული გამოწვევების შესაბამისად, ძალადობის პრევენციის სტრატეგიამ გამოყო პრევენციის პრიორიტეტული მიმართულებები: ოჯახში ძალადობის პრევენცია, სკოლაში ძალადობის პრევენცია, ქუჩასა და საცხოვრებელ უბანში ძალადობის პრევენცია. დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულ იქნა კომპლექსური მიდგომა. აღნიშნული სტრატეგია ერთდროულად მიმართულია როგორც ძალადობის გამომწვევი სოციალური მიზეზების აღმოფხვრაზე, ასევე ძალადობის ჩადენის შესაძლებლობების შემცირებაზე. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, სამართალდარღვევებზე დაუყოვნებლივი რეაგირება და დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა, ძალადობის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული საკმარისი არ არის და ვერ იძლევა სრულფასოვან გრძელვადიან შედეგს. ამასთან ერთად აუცილებელია განათლების დეფიციტის შევსება, მსხვერპლთა და მოძალადეთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია, ალკოჰოლზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენცია. სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოქალაქეთათვის დემოკრატიული ფასეულობების და არაძალადობრივი თანაცხოვრების კულტურის გადაცემას. ამ მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო განათლების სწავლებას პიროვნების აქტიურ, კანონმორჩილ, არამოძალადე მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის. მნიშვნელოვანია, მედიაციის ინსტიტუტის აქტიური დანერგვა სხვადასხვა სფეროში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და

შესაბამის კამპანიებში ცნობადი სახეების მონაწილეობა. ამასთან, ძალადობის პრევენციის ეფექტიანობა უნდა უზრუნველყოს სოციალური პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლამ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძალადობის ადრეულ პრევენციას, რაც გულისხმობს მოქალაქის პიროვნებად ჩამოყალიბების ეტაპზე მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემას. ცხადია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყველა იმ უწყების თანაბარი ჩართულობა, რომელთა არსებობა/ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას. შესაბამისად, საჭიროა:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება/დანერგვა; აღნიშნული პროგრამების საფუძველზე, პედაგოგების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- სკოლის მოსწავლეთათვის სამოქალაქო ღირებულებების სწავლება, მათში ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებისა და კომპრომისის მიღწევის მეთოდების ჩათვლით;
- მოსწავლეთათვის ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური კურსის შეთავაზება არაფორმალური განათლების ფარგლებში, რომლის მიზანი იქნება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების სწავლება, სხვისი ინდივიდუალიზმის პატივისცემის უნარის განვითარება. აგრეთვე, ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანთა აღზრდასა და სწავლებასთან დაკავშირებით მშობლების ან მათი უფლებამონაცვლეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით;
- მოსწავლეებმა, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში უნდა მიიღონ ცოდნა გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე შვილების აღზრდის საკითხში. თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ძალადობრივი კონფლიქტების ალტერნატიული, კომპრომისული მოგვარების გზები. ამგვარად, მოსწავლეები უნდა მოემზადონ მომავალი არაძალადობრივი და სტერეოტიპებისგან თავისუფალი ოჯახური ცხოვრებისთვის;
- მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში მშობლებისთვის მოეწყოს სემინარები (თუნდაც

მშობელთა კრების ფორმატში), სადაც მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას (მაგ. სკოლის ფსიქოლოგები) ოჯახში ძალადობის თემაზე, განსაკუთრებით ბავშვების ფსიქიკაზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობლებს უნდა განემარტოთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედებების მოწმენი არიან.

პრევენციის მიზანია დამოკიდებულების პრობლემიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება, საკონსულტაციო–საგანმანათლებლო ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოქალაქის შეგნების შესაბამისი ჩამოყალიბების გზით ოპტიმალურად შემცირდეს დამოკიდებულების პრობლემის გაჩენის რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პრევენციის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა ბავშვებთან და მოზრდილებთან.

მნიშვნელოვანია **სამოქალაქო განათლების წარმართვა,** როგორც აქტიური მოქალაქის იდეის სწავლების, ისე დამოკიდებულების პრობლემის მძიმე შედეგებზე ინფორმირების კუთხით. სამოქალაქო განათლების ფარგლებში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კონფლიქტების თავიდან აცილების გზების სწავლებამ უნდა უზრუნველყოს მომავალ მოქალაქეებში მშვიდობიანი თანაცხოვრების წინაპირობების ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი ოპტიმალურად შეამცირებს დამოკიდებულების განვითარების რისკს. ამ მიზნით, სამოქალაქო განათლებაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლებასთან ერთად, ცალკე თემატიკა უნდა დაეთმოს მომავალ მოქალაქეში სწორი მომხმარებლური და ეკოლოგიური შეგნების ფორმირებას.

დამოკიდებულების პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამა არ უნდა კონცენტრირდეს მხოლოდ საზოგადოების ახალგაზრდა სეგმენტზე. ის უნდა განხორციელდეს საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სარეაბილიტაციო თუ მედიაკამპანიის წარმოებისას. მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელი უწყებების ბაზაზე მოქმედებდნენ შესაბამისი საკონსულტაციო–ფსიქოლოგიური სამსახურები, რომლებიც დაეხმარებიან დამოკიდებულ პირს პრობლემის გააზრებაში და მისი მოგვარების გზების დადგენაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე შესაბამისი სამსახურების მობილიზება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, კონსულტირების ფუნქციის განსახორციელებლად, ექიმებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობით.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია (სამუშაო ვერსია) ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამუშაო დოკუმენტად განიხილებოდეს.

2.*მოისმინეს:* დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით IV კვარატალში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა, მომხსენებელმა-სალომე ფახურიძემ განმარტა, რომ საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია შევხვდეთ მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს, მათ გავაცნობთ სტრატეგიის ძირითად მიზნებს და სასწავლო პროცესში ძალადობის პრევენციის კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს. მოგეხსენებათ 25 ნოემბერს ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისო დღეა, ტრადიციულად ჩვენს ქვეყანაში იგეგმება ძალადობასთან ბრძოლის კვირეული, რომელსაც შეუერთდება აგრეთვე ჩვენი მუნიციპალიტეტები, მოსწავლე-ახალგაზრდები, პედაგოგები. სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით მოეწყობა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, ასევე აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართება პრეზენტაციები.

ასევე გენდერული საბჭო ჩაერთვება შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთნ დაკავშირებით დაიგეგმება შესაბამისი აქტივობები.

აზრი გამოთქვა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ „მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება, მისასალმებელია საგანმანათლებლო სფეროში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიბებების დაგეგმვა და მსგავს აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობა, პერიოდულად მოვაწყოთ გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლებში და თემებში.

აზრი გამოთქვა: გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა ნათია ძოძუაშვილმა, აღნიშნა რომ "პირველ რიგში აუცილებელია შევადგინოთ ბიუჯეტი, რომელიც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელების საშულებას მოგვცემს. ასევე უნდა შევადგინოთ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2020 წლის სამოქმედა გეგმა.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

IV კვარატალში განსახორციელებელი ღონისძიებები განხორციელდეს ეტაპობრივად.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

28.10.2019 წ.